

მწველთა წველ ქვეს, სწავნით ვეღობ!..



„ღმერთმა
სამშობლო მიცოცხლე,
მშინარეც
ამას ვღუღუნებ!“

კავკასია Kavkasia

პროფესორი, ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №1-2 (65-66) იანვარი-თებერვალი 2013 წელი შანი 1 ლარი



კულტუსაკვი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-
პატრიარქს, გსხეთა-თბილისის
მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-
აფხაზეთის მიტროპოლიტს, უნეიდესსა და
უნეცარეს ილია გეორგის დაბადებიდან 80
წლის და აღსაყდრების 35 წლის იუბილეს.
გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს
დედასაქართველოს და ქართველი ერის
საბედნიეროდ!..

გნაგვალ ახალ წელს,
ჩვენსო კატრიარქო!..

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს!

გილოცავთ პოლიტიკაში მობრძანებას, ბატონო ბიძინა!..
გილოცავთ იმისთვის, რომ გადაშენების ზღვარზე
მისულ ქართველ ერს მოევლინეთ სამშობლოს მსხნელად,
ბევრისგან განსხვავებით, თქვენ გამოძრავებთ ჩვენი ერის,
მამულის ერთგულება და უკიდევანო სიყვარული..

უფლისაგან წილად გზვდათ სხვათათვის, თქვენი თან-
ამემაძულეებისადმი დახმარებისა და მხარში დგომის
სიყვარული. მისაბაძია თქვენი ცხოვრების სხვადასხვა
სფეროში მოღვაწეობა.

ღმერთმა დაგლოცოთ, უფალმა მოგცეთ ძალა საქართველოს
გაერთიანებისათვის ბრძოლაში, ჩვენი ძირძველი
და დაკარგული ტერიტორიების – აფხაზეთისა და შიდა
ქართლის (ცხინვალის რეგიონის) და კიდევ – უფრო ადრე
დაკარგული ტაოკლარჯეთის, შავშეთის და სხვა ქართული
ტერიტორიების დასაბრუნებლად.

თქვენი მოსვლით პოლიტიკაში გაჩნდა უდიდესი იმე-
დი, ქვეყანაში ყოფითი თუ პოლიტიკური მდგომარეობის
შეცვლისა და ჩვენი ერის ღირსეული ადამიანების გამ-
რავლებისა...



გილოცავთ ახალი – 2013 წლის მობრძანებას თქვენს
ოჯახთან ერთად, თქვენს არაჩვეულებრივი ნიჭიერებითა
და გონიერებით გამორჩეულ გუნდთან ერთად!

მადლობა უფალს, რომ რეალურ მფარველად მოევლინეთ
ჩვენს დედა საქართველოს!..

უფალი იყოს თქვენი და საქართველოს მფარველი!..

ლია წერილი

საქართველოს მფარველთა კავშირის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, პროფესორს, საზოგადო მოღვაწეს, ქართული ფენომენის აკადემიის პრეზიდენტს, ქართული ლიტერატურის კლასიკოსს, «ქართული პროზის რაინდის» ტიტულის მფლობელს, რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აბაგი ღვრიშვილის, დავით კლდიაშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიების ლაურეატს ბატონ რევაზ მიშველაძეს



დიდა ღვაწლი მეოცე საუკუნეშიდან დაწყებული დღემდე თქვენი სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროში. თქვენი ჰუმანურობით, სიმამაცითა და გაუტყუებლობით დიდი კვალი დააჩნით დღევანდელ უმძიმეს კატაკლიზმებითა და წინააღმდეგობებით სავსე ქართულ სულიერ ცხოვრებას.

თვალსაჩინო პოეტის, წმინდა გიორგის ოქროს ორდენის მფლობელის მზია სეთაგურის სიტყვები: „... მე შეიძლება რომელიმე კავშირიდან გავიდე, მაგრამ რევაზ მიშველაძის ნაწარმოებების მკითხველთა კავშირიდან არასოდეს“... როგორც ჩვენი დროის უნიკური და თვალსაჩინო პოეტმა და პუბლიცისტმა გოჩა ხარანაულმა თქვენი რომანის: „ჩურჩულს გაღაჩეული კაცის“ ვრცელ რეცენზიაში აღნიშნა, მართლაც და ყველა ჩვენგანისთვის ეს წიგნი „შედეგების თაიგულია“.

ნების ადამიანის და საერთოდ, სრულიად საქართველოს ქომაგი ხართ და მოამაგე... გულმტკივანი სამშობლოს ბედით და თქვენი უღამაზესი დაღუპული მეომარი შვილით გულდამწვარი მამულიშვილი. გისურვებთ სიმშენვეს და თქვენი ასეთი მსოფლიო ღირებულებების ნოველების შექმნას ჩვენი უძველესი და მრავალსაუკუნოვანი სამშობლოს სადიდებლად. მაღლობა ჩვენზე ამავისთვის, თქვენი არსებობისთვის!.. მრავალ ახალ წელს, ბატონო რევაზ!..


იზა ჯაჭავაძე

პოეტის დიდი ჩოხელი

ქართული პოეზიის თავყანისმცემლები ყოველთვის როდი არიან განებივრებულნი ისეთი საღამოებით, როგორც ცოტა ხნის წინ გაიმართა მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში – ლაკონური, დინამიური, ემოციურად დატვირთული და არა – გადატვირთული... თემურ ჩალაბაშვილის პოეზიას საკმაოდ ბევრი მკითხველი ჰყავს, რომლისთვისაც ლექსი ყველაფერს ნიშნავს – სამშობლოს, თავგანწირვას, სიყვარულსა და სიფაქიზეს. სწორედ ასეთი მკითხველებით იყო სავსე თეატრის დარბაზი, რომელსაც 60 წლის იუბილარი უმასპინძლებოდა გულწრფელი სიტყვით, სიყვარულითა და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პოეტური სევდით. კახური „მრავალჟამიერისა“ და პეიზაჟების ფონზე ეკრანიდან კრთებოდნენ მშობლიური უბნები, დედის საფლავი, ნათესავ-მეზობელ-მეგობრები და ამ კუთხიდან დანახული სამყარო... შედგა თემურ ჩალაბაშვილისა და გიორგი უშიკიშვილის დუეტიც, და ეს ყველასათვის სასიამოვნო სიურპრიზი


აღმოჩნდა: საღამოს უძველესი მსახიობი ვა ბურჯანაძე. სწორედ მისმა უშუალოდ, ზომიერებამ და გულწრფელობამ თავიდანვე განსაზღვრა აღნიშნული საღამოს მაღალი კულტურა. იუბილარის გარდა, მისი ლექსები ახალგაზრდა მსახიობებმაც წაიკითხეს. თემურ ჩალაბაშვილის კოტე მახარაძესთან ძველი მეგობრობის აღსანიშნავად, ჯამლეთ ხუხაშვილმა იუბილარს კოტე მახარაძის თასი გადასცა, რითაც დიდად გაახარა პოეტიც და დამსწრე საზოგადოებაც.

სცენაზე მონატრებული ლელა თათარაიძეც გამოჩნდა, რომელმაც მშვენიერი სიმღერა შესთავაზა მაყურებელს... სიტყვები წარმოთქვეს მწერლებმა – ერეკლე სალიანმა და ზაალ ბოტკოველმა. ისინიც, ვინც საჯაროდ სიტყვის თქმა ვერ შეძლო, ერთმანეთს უზიარებდნენ პოეტისადმი განსაკუთრებულ სიყვარულსა და პატივისცემას. მთელი საღამო დამუხტული იყო წარსულში და-თესილი სიყვარულის მოსავლით – სცენაზე პოეტის დიდი რთველი იდგა და გულუხვად მასპინძლობდა მთელ საქართველოს. თემურ



თემურ ჩალაბაშვილის 60 წლისთავი. შემოქმედებითი საღამო. თემურ ჩალაბაშვილი

თემურ ჩალაბაშვილი



ჩალაბაშვილის ერთ-ერთ ლექსზე დაწერილ სიმღერაში ასეთი სტრიქონია: „ცალ-ცალკე ვართ და ერთმანეთს ვნატრობთ...“ ამ საიუბილეო საღამოზე კი არავინ იყო „ცალ-ცალკე“ – ყველანი ერთად ვიყავით და ისევე ერთმანეთს ვნატრობდით მომავალ სასიამოვნო საღამოებზე შეხვედრის წყურვილით. საღამო იმითაც იყო შესანიშნავი, რომ მისი ორგანიზატორი ქალბატონი ციცო ერისთავი გახლავთ – პიროვნება, რომელიც არაერთი კეთილი საქმის მოთავეა და მისი მოღვაწეობა, ამ თვალსაზრისით, მაღლიერებასა და პატივისცემას იმსახურებს.

ფიია სმითაგური

სანთელი

წიგნი

შენ ციური ხარ, უფლის ხმობილი, თ, პაწაწინა თაფლის სანთელი. გყოლია მრეკელი ხელაპყრობილი, შენ შეგინახავს ეს საქართველო. ჩამოგიქრთლებს სული ტაძართა და ეგ სიწმინდე გასაკვირია: ბევრჯერ მომხდურმა

ცრემლი წაგართვა, ბევრჯერ დაღვრილხარ და გიტრია... შენ სანთელი ხარ, სუსტი, უბრალო, მაგრამ რამდენი კვანთა გიგროძენია. შენ, საქართველოს ჭირისუფალო, ბედნიერი ხარ, წვა შეგიძლია...

*** მთაწმინდაზე ნისლს ეძინა, ქაშუეთთან ღამის ბინდი ეყარა, გაიადრდა, — შენ გეწყინა — მტკვარს გაჰქონდა თბილისიდან ქვეყანა. მთების ლანდშაპი მთგარე შორით გაიტაცა, თუ მეტყნთან მიამსწვრია ტიალადა, გაგახსენდა შენი ჯგარცმა და წაქცეულს ტანში გაგაჟრიალა... მერე მთგარეს ირემივით დაეკებდი, შენი ცრემლით ცა ათასჯერ გაწვიმდა. მთაწმინდაზე ნისლს ეძინა და მთგარეზე არ ფიქრობდა მთაწმინდა...

პატარა ბეჟანს

ამოგიყვანა დედამ მკერდიდან და მოხველ ქვეყნად ფერად სიწმინდით. შენ მოგყვება, შვილო, შენი ხვედრი და ბევრიც ეცადო, ვერ ასცილდები.

ჯერ უმწეო ხარ, „აღუც“ არ იცი, ხან უმიზეზოდ სტირი, იცინი, ჯერ მამის მზერას შენ გერ განიცდი და გეშინია შენიგ სიმციროს. ისე მოგერგოს პაპის სახელი, როგორც მეომარს ბეგთარ-ხალათი, არაფერი სჯობს ცოდვას გამხელილს — შეგხვდება ბეგრი შური, დალატი. ქვეყნად შეგხვდება ბეგრი სიკეთე საქართველოში, ჩვენს ძველ მამულში; არგინ გაჯობოს, შვილო, იცოდე, მიწის მოგლასა და სიყვარულში... ... იქნებ უაზროდ არც იღიებო, ასეთნი იყვნენ ძველი მოყმენი. შენ უნდა გერქვას მამის იმედი და მამის მკერდზე მიწის მოყმენი. მინდა გაგზარდო ღომის ბოკვერად და არა მფრთხალი, როგორც კურდღელი. აჰა, სამშობლოც, შვილი ერთგული, დაადგი შენი მძიმე უღელი...

სადაც სამშობლოს ღვიძლები, იქ უნდა ვიყო...



მზია, როგორც ვიცი, მუშაობდით თავდაცვის სამინისტროს მესამე ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონში ასეულის ზურგის სერჟანტად. მართალია, მასწავლებელი იყავით, მაგრამ რამ განაპირობა თქვენი გადასვლა სამხედრო სამსახურში?

ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა სამხედრო ფორმა და სამხედრო სამსახური. მქონდა დიდი სურვილი მემსახურა სამშობლოს თავდაცვისთვის და თავიდანვე მქონდა ჩემი დიდი მოწოდება, თანაც საშუალება მომეცა ასე იოლად ჩაებმულიყავი ქვეყნის სამსახურში.

ჩემთვის ცოტა უცნაურია ის, რომ როგორც ვიცი, ამ ქართულ ერთ-ერთ ბატალიონში სამხედრო წვრთნა მიიღეთ, მაგრამ შემდგომში თქვენმა ბრიგადამ გადაინაცვლა ჯერ ერავში და 2011 წელს - ავღანეთში.

რატომ უცნაური?... როცა ჯარისკაცი გქვია და ფორმას იცვამ, სადაც სამშობლოს დასჭირდება და მოითხოვს, იქ უნდა წახვიდე და შეასრულო ბრძანება, საქართველოს ტერიტორია იქნება თუ საქართველოს ფარგლებს გარეთ.

იმჟამად მოვიდა ბრძანება, რომ ბრიგადას შეესრულებინა სამხედრო მისია ერავში. იმ

დროს, იქ წასვლის დროს, არ იყო რომელიმე ბრიგადის განსხვავება, ყველანი ერთ საქმეს ვასრულებდით. მერე გაიყო ბრიგადები, მოვალეობები და ჩვენს მესამე ბრიგადას დაევალა სამხედრო მისიის შესრულება და რამდენიმე წლის შემდეგ უკვე ავღანეთის ისლამურ ქვეყანაში ჩვენი (მესამე) ბრიგადის ბატალიონები ცვლიან ერთმანეთს და სამხედრო მისიას აისაფის (ASF) პროგრამით ასრულებენ.

რა გევალებოდათ ერავში და რა ავღანეთში?

ერავში ვიყავი ასეულის, სანივთე ქონებით მომარაგების სერჟანტი, ავღანეთში კი შტაბის S-1-ის კადრების, S-2-ის დაზვერვა, S-3-ის დაგეგმარება, S-4-ის მომარაგება.

რაც მევალებოდა, ეს იყო პირადი შემაღველობის გადაადგილების აღწერა, ვინ სად დაიღუპა ან სად მკურნალობდნენ დაჭრილებს, რომელ ქვეყნებში. ეს ყველაფერი კადრებს ევალებოდა. დაღუპულების ოჯახებისთვის შეტყობინებაც კი.

და... როცა დამითავრდა საკონტაქტო სახელშეკრულებო ვადა, დავბრუნდი მშობლიურ ხევსურეთში და ვეწევი მამა-პაპურ სამეურნეო საქმიანობას.

მარიკა (მზია) ლიმოქმლი დაბადა ბარისახოს სიახლოვეს - (ლიქოკის თემში) - მაღრანში 1975 წელს. დაამთავრა ბარისახოს საშუალო სკოლა-ინტერნატი. ასევე თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამის შემდეგ მუშაობდა ფშავში - მაღაროსკარის სკოლა-ინტერნატში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ჰყავს შშობლები: გიგო და ანა, და - თამარი.

რას ფიქრობთ მომავალზე? - ჯერ თავად ვარ მომავალი, რადგან ჯერ არ მყავს მომავალი.

ვიცი, რომ ხართ ფილოლოგი და მანტერესებს ვინ არიან თქვენთვის მისაბამი ისტორიული პიროვნებები?

ჩემთვის ასეთი პიროვნებები უპირველესად არიან ისინი, ვინც სამშობლოსთვის უანგაროდ თავი დადო და საკუთარი სიცოცხლეც კი შეწირა. მაგალითად, დიდგორის ბრძოლის ორასი ქართველი მეთომარი, 300 არაგველი, ბევრი უსახელო გმირი, შოთა რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, საქართველოს უგვირგვინო მუზე - ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, გაბრიელ ჯაბუშანიური და ბევრი სხვა... ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია...

ახლა რითი ხართ დაკავებული და როგორ გრძობთ თვის?

აქტიურ ცხოვრებას ვეწევი, რომლის გარეშეც არ შემიძლია ყოფნა...

ძალიან მიზიდავს ცხენოსნობა, უბედნიერესად ვგრძობ თავს ცხენის ზურგზე. დღეს ჩემი ჰობი ცხენოსნობაა.

თუ გაქვთ ოჯახის შექმნის სურვილი? - ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს საკუთარი ოჯახი თუ ქვეყნის, ერის, რელიგიის წინაშე არ გაქვს ვალი მოხდილი, ქალი იქნები თუ მამაკაცი (არა აქვს მნიშვნელობა) თუ მას ოჯახი. არ აქვს, შეილება არ ჰყავს, სულ მცირე ოთხი მანც, უბედურად მიმანია.

რას უსურვებდით ქართველობას?..

გამრავლებას, კაცი - კაცს ჰკავდეს, ქალი - ქალს... არ დაგვეკარგოს მამული, ენა, სარწმუნოება...

საახალწლოდ ჩემი დედა-საქართველოს გაერთიანებას, გამთლიანებას, გამრავლებას, სიკეთეს, ბედნიერებას, მიტოვებულ მიწებში დაბრუნებას, ადგილის დედის გაძლიერებას, ახალ-ახალ წარმატებებს, უფლის წყალობას!.. მრავალ ახალ წელს, ჩემო საქართველო!..



გოდერძის უკვდავება

ახლანან გამოვიდა 6060 ზემდელაშვილის წიგნი გამოჩენილი მწერლისა და კინორეჟისორის გოდერძი გოდერძის შესახებ, სათაურით „ნაწილიანი“.

კრებულში ასახულია გოდერძის ჩოხელის ცხოვრება ხელოვნებასა და მის მიღმა სხვადასხვა სფეროში. წიგნი უნდა წაიკითხოს ყველამ, ვისთვისაც ეს სრულიად განსხვავებული აზროვნებისა და ფანტაზიის მქონე შემოქმედის ხელოვნება საქართველოს ბედ-იბაღით თვითგანსაზრებულად კი ვთავაზობთ წიგნი შეტანილი წერილების ფრაგმენტებს, სადაც შესანიშნავად იკვეთება გოდერძის ჩოხელის, როგორც „დარდების შემგროვებლის“ სახე.

ამ მოგონების ერთ-ერთი ავტორი კი გახლავთ ცნობილი კინორეჟისორი ლანა ლომოძე-ბერიძე.




... „გოდერძი ჩოხელი უკვე არსებობს, როგორც მოვლენა. ის ჩამოვიდა გუდამაყრის ხეობიდან და თან მოიყვლა: ბევრი ვლუნა,

დარდების შემგროვებელი, ახალი და ღურხანი, გუდამაყრელი დედაკაცები და მათი სევედა, ვარდისფერი კაცი - ამბროსუკუნა და კიდევ ბევრი

სხვა ვინმე. ის სიუჟეტებით და ისტორიებით არის დატვირთული. ინტუციით უამრავი რამე იცის. მის მოთხრობებსა და ფილმებში ერთად არსებობს სასაცილო და სატირალი, გროტესკი და ტრაგედია, ბუფონა და ჩვეულებრივი ყოფა. ამგვარი სტილი მას დიდ თანამედროვე მწერლებს აახლოვებს. მისი დარდების შემგროვებელი დადის სოფელ-სოფელ, კარდაკარ, აგროვებს დარდებს, ყრის მათ გუდაში და აწერს ნომრებს; დარდი ნომერი ათას სამას ორმოცდაშვიდი, ორმოცდარვა და ა.შ. ასე ჩნდება წიგნის ფურცლებზე საოცარი სახე: სოფლიდან სოფელში, კარდაკარ მოხეტიალე კაცი, ზურგზე მოკიდებული დარდებით საჯეს გუდით“...

და კიდევ... „მე მმა არა მყავს და მმაზე მეტად, მაშინ



აი, ბევრი ასეთი არაჩვეულებრივი ამბებითა და მონათხრობებით არის გაჯერებული წიგნი, რომელიც ეძღვნება მთლიანად ჩვენი გოდერძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდებს... ვინ აღარ უძღვინს წერილს ჩვენს ლეგენდადქვეულ გოდერძი ჩოხელს და არ შეიძლება მათგან არ გამოვიყოთ ამ წიგნის შემდგენელის მისდამი მიძღვნილი ბევრი წერილის ავტორი და ოჯახის მეგობარი ნინო ზედელაშვილი, რომელსაც შესანიშნავად შეურჩევია შთაბეჭდილებები და შეფასებები ამ დიდ შემოქმედზე.

ასწენებ გოდერძი ჩოხელს და ეს იმას ნიშნავს საქართველო ხარ და საქართველოს ხედავ, ამბობს მისი წიგნის სულისჩამდგმელი გოდერძი ჩოხელზე და მის ოჯახზე უზომოდ შეყვარებული ავტორი.

დარდების შემგროვებელი გოდერძის სტრიქონები დღეს განსაკუთრებით უღერს:

„თუ სათავემდე ვერ მივუღებ, დაგხვდები ანანურშია“..

გოდერძი დაგხვდება ყველგან - ანანურთან, შატლთან, სტეფანწმინდასთან, ოშთან, დაკარგულ ხახულთან, ტაოკლარჯეთთან, ზარზმასთან, ცხინვალთან, სოჭთან, ცხუშთან... მიუღ საქართველოსთან!..

გვარდის ავტორი იზა ჯაჭავაძე.


„სიყვარულისთვის ვერ გაბიეჭა“



მანანა დანგაძის ლექსები მართალია ლექსები. იგი არაფერს არ იგონებს, არაფერს თამაშობს, არავის ეპიკლუცება... მას ისე ძალიან სტკივა, რომ მხოლოდ ლექსით მშვიდდება. ეს ტკივილი შენც გაფორიქებს, შენეუღლია, შინაურია, შენში ნავარდობს. ამიტომ, შეუძლებელია, არ აგაღვლოს, ცრემლი არ მოგგვაროს; ეს

სტრიქონებში პატრიოტიზმი, სიყვარული, იმედგაცრუება და ტკივილიც ისეთი გამჭვირვალეა, მხოლოდ მასთან შეხებისას თუ იგრძნობ მკითხველსა და პოეტს შორის არსებულ ძალიან თხელ ფარდას, რომელიც დრამის გასათამაშებელ სცენაზე არსებულ დეკორაციებს ამხელს და თუ ხელს შეახებ, აღმოჩნდება, რომ ეს ლექსები დადგმული კი არა, ბუნებისგან შექმნილია – ხეც ნამდვილია, ბლანტიც, ცრემლიც, როიალიც და ლარნაკიც, რომელიც უხეში ხელის შეხებით შეიძლება გატყდეს.

მიყვარდა უკანასკნელად!... „გულს მაწვება დარდებად და იარად, ისევ ისე იმ ძველ თბილისს გნატრობ, როცა მოლიან საქართველოს კი არა, ყვაავილების მიწას ჰყიდნენ მარტო!“... ან კიდევ:



„ნუ შემადარებ ვარდსა და მინაკს, არ მინდა ბედად ყვაავილთ მეფობა, მე დედის ცრემლით მოვიბან ნიღაბს, და სევდად იის ფერიც შეყოფა“...

მანანა დანგაძემ, როგორც თითოეულმა, ვისაც ნამდვილი სიყვარული უგებია, იცის რა არის სიყვარულით ტანჯვა-წამება, მოლოდინი... ამიტომ პოეტი მას, ვინც უყვარს, ამ ტანჯვისთვის ვერ იბეჭებს

„ჩამოფურცლულა ლარნაკში ვარდი ფრთა შეკვეციათ სულში იმედებს, ისე მიყვარდი, ისე მიყვარდი, სიყვარულისთვის ვერ გაგიმეტე!“

და იქნებ ეს ყველაზე პოეტური პარადოქსია, -სიყვარული ხომ ტანჯვაა, რომლისთვისაც ვერ გიმეტებს გული.

ცრემლი სხვაგვარ დამოკიდებულებას აღძრავს. ეს იმდენად გულწრფელი და ნიჭიერი სულით დაწერილი ლექსებია, რომ სურვილიც არ მაქვს ზოგიერთი ხარვეზის შესახებ ავლაპარაკდე, ლექსის სტილისტიკისა, თუ ოსტატობისთვის აუცილებელ ნიუანსებს რომ გულისხმობს. მე მხოლოდ ამ ლექსების საუკეთესო სტრიქონებს ვახარებ მკითხველს და ამ

ზახაბ ხაბაძის ციხე-სიმაგხე



ზურაბ ხაბაძე

ისტორიას ახსოვს ცნობილი ადამიანების „პროფესიიდან გადახვევის“ ფაქტები, რაც, ღირსეულ გადახვევას უფრო ჰგავს.

დიდი მხატვარი, შესაძლოა, არც თუ ურიგო ლექსებს წერდეს, პოეტი – ხატავდეს, ან მღეროდეს, მეცნიერი როიალზე უკრავდეს, ხოლო მხედართმთავარმა ისეთ მებაღეობა-მეზღვრეობას მიჰყოფს ხელი, რომ მისთვის მხოლოდ ამ „შედევრს“ მოჰქონდეს ბედნიერება...

ასე, რომ სულაც არ მიკვირს, ბათუმში მცხოვრები და საქართველოს ფარგლებს გარეთაც აღიარებული მხატვარი ზურაბ ხაბაძემ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე „ჩუმ-ჩუმად“ რომ ლექსებს წერს.

ციხე შიგნიდან გატყდება... და „გატყდა“ ეს ციხე არა შინაური მტრების, არამედ მეგობრების წყალობით, რათა ზოგიერთმა სტრიქონმა მანც გამოაღწიოს ტკივილით სავსე ციხე-სიმაგრიდან...

ფუში ოცნების ლანდილა დამრჩა, ანდა დარჩება – მე ვგრძნობ წინასწარ! ლანდი ოცნებას არასდროს არ ჰგავს, როგორც გლახაკი – თავის წინაპარს!

გაყინულ მინას მკერდით ეხება. ფიფქივით ჩუმი და უწყინარი გამოემწყვდია მინის ჩარჩოში... მერე კი, მისი თეთრი სხეული მზემ გაახვია ბროლის სამოსში.

თანამედროვე ტრაგედია

ქალაქის თავში, ქალაქის ბოლოს რაღაც იწყება, რაღაც – მთავრდება... ღამე მტანჯავდა, მე, მარტოობის, მაგრამ ღამეც ხომ წარსულს ბარდება!

ამეტუზება კარებთან ვიღაც, ხელში შექსპირის სონეტებს მაწვდის, თუ რამ სენი გგჭირს, სულ აქ წერია, და გერ ვითკებ სიკვდილის წადიღს!

სცენაზე მისი ტრაგედიები დღეს მეორდება ცოტა სხვაგვარად – ღმერთო, ამდენი მარკუს ბრუტუსი... გადაქცეულა, ყველა, მახსარად!



ზურაბ ხაბაძის ფერწერული ნამუშევარი

მეც მქონდა მათთან რაღაც საერთო, – ანტონიუსი მეგონა თავი, გროსებზე გნატე დიდი გმირები, მაგრი ოტელოც, კუბრივით შაფი...

დადგა ბურუსი, ღამეა ბნელი და ველარ ვფიქრობ მუიან ღამეზე, რადგან ჰამლეტი და მეფე ღირი მიკაკუნებენ დახშულ კარებზე.

გვერდის ავტორი გვიან შემთავრდა, პოეტი, წმინდა გიორგის ოქროს ორდენის მფლობელი.

კითხვა-პასუხი

– მოხვალ ოდესმე ჭკუაზე? – არა მეგონია... არასდროს! და ეს შეკითხვა ყოველთვის ძალიან ჰგავდა პარადოქსს!

ღმერთი მფარავდეს! არ მინდა, მეც შენაირად ვიარო... მე რასაც დავთეს, მოვიმკი, შენ თუნდაც არ მაღიარო!

მარტივი ფილოსოფია

ჩემს დარდს არ ჭირისუფლობა, ეგ მე სულ არ მანაღვლებს, თუ შემაქვს მე ის უფრო, მე ის უფრო მაწვალებს!

– მაშ რა გინდა, ან რა გქვია, რა შეგფერის, რა გარგებს? – დრო ყველაზე მთავარია, დრო ზუსტ სახელს დაგვარქმევს!

სეპლა


დედის საფლავთან მდუმარედ გდგავარ... ცივია საღამო, არც სიტყვას მაწვდის არაგინ, არც ნუგეშს, როგორც მაღამოს.

დეკემბრის მკაცრი ღამეა, გაფითრებულან ხეები, ნეტავ ოდესმე დადგება დაუვიწყარი დღეები?

სურათი

სარკმელს მოასკდა თეთრი ფრინველი, ფრთებმა იელგეს, როგორც უხეფებმა... თოვლივით გაწვა ვიწრო რაფაზე.

უნდა იხილოთ!..



მკითხველმა იცის, რომ სულ ახლახანს, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოიცა ლია ჭილაძის ახალი წიგნი სათაურით „შემომიწირავს გული“, სადაც ასახულია წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ქრონიკები. ავტორი ლიტერატურული ენით გადმოგვცემს იმ სიბნელებს, რაც ამ ტაძრის მშენებლობას თან ახლდა. რეპორტაჟებსა და ჩანახატებში, რომლებიც წლების განმავლობაში ქვეყნდებოდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, მთელი სისრულით არის წარმოდგენილი ის ეპოქა, რომელიც ყველამ ერთად დიდი გაჭირვებით, დათმენით გამოვიარეთ. თითქმის დაკარგული სამშობლო დაგვიბრუნა ამ დიდი ტაძრის მშენებლობამ, სულიერებამ გაამთლიანა და შეკრა გახლეჩილი საზოგადოება... მკითხველი ამ წიგნში ბევრ საინტერესო ამბავს გაიგებს, გაეცნობა ტექნიკურ ინტელიგენციას, ურთულესი მშენებლობის პერიპეტეებს, და კიდევ ერთხელ დაგვანახებს, რომ მართლმადიდებლობა დღესაც ქართველთა ცხოვრების წესი და გადამრჩენია...



— „დელოზარი“ — წლების მანძილზე შეუძებოდა სოფლის პრობლემები. ლია ჭილაძე სათავეში ედგა მოზარდთა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს, სადაც დღეისა მისი ღვაწლი დევნილი და უპოვარი ბავშვების აღზრდა-განვითარებაში... მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და სიგელი. ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოებულია ღირსების მედლით. იგი ბევრს მუშაობდა კონფლიქტური რეგიონების პრობლემებზე. ჩვენი ღირსეული კოლეგა და მეგობარი კვლავ ახალ წიგნზე მუშაობს. წინ კი ახალი საქართველო ახალი ჰორიზონტებით!..

ლაშა-გიორგი კრავიშვილი

რომელმაც უშეწყველად გამოიარა ჩვენი დღეების სიმრუდეში და თავისი ბრწყინვალე შემოქმედებით გაახარა ხალხი, მისი უამრავი მკითხველი აქაც და იმ მიწაზეც, საიდანაც აჰყარეს ქართველობა...

პროფესიით ინჟინერი — როინ ბასიშვილი და ორი ვაჟი — ლაშა და ანდრო. დღეს მათი შვილები საზოგადოების ღირსეული წევრები არიან.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ამ ღირსეულმა ოჯახმა კონფლიქტის დროს დაკარგა ბინა ცხინვალში, 2008 წლის აგვისტოს ომში კი — მშობლების მიერ აშენებული, საკუთარი სახლ-კარი დიდი ლიხვის ხეობაში, სოფელ ქურთაში, რაც მარადიულ ტკივილად ექცათ. ოკუპანტებმა მამინ არც ქარელის რაიონის, ფრონეს ხეობის სოფლები დაინდეს და ცერონისში, ქალბატონ ლიას სოფელში, მის მშობლებსაც გადაუწვეს სახლ-კარი... ყველანაირად შეეხო მათ ოჯახს სამშობლოს განსაცდელი... რომ არა ჭირთათმენისა და სიბრძნის ნიჭი, ბევრი ვერ გაუძლებდა, ნულიდან დაეწყო ცხოვრება...

ამის მიუხედავად, ლიას ოჯახში შესულს ისეთი სითბო, სისუფთავე და სისადავე შემოგვეგებება, ვე-

რანაირად წარმოიდგენ, რომ მათ ამხელა განსაცდელი გამოიარეს... მათი შემხედვარე რწმუნდები, რომ ღვთისმოსოშიშება, თავმდაბლობა, სიბრძნე და კეთილზნობა მართლაც ქმნის კარგი ოჯახის საფუძველს...

ლია ჭილაძისთვის სულ ერთი არ არის თავისი სამშობლოს მომავალი. მკითხველს დარწმუნებული ვარ, კარგად ახსოვს მისი სტატიები პრესის ფურცლებიდან, განსაკუთრებით კი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკიდან“, სადაც ის წლების განმავლობაში მუშაობდა, და რომლებშიც ნათლად ასახავდა რეალობას, გასაგები ენით ესაუბრებოდა მკითხველს. შთამბეჭდავია ის წერილები, ნარკვევები თუ რეპორტაჟები, რომლებშიც სულიერებაზე, ადამიანის უფლებებზე, სამშობლოს მომავალზე და მის განვითარებაზე საუბარი. პოეტს და ჟურნალისტს, უყურადღებოდ არც ქართული სოფელი გამოჩენია და მათი რედაქციის სპეციალურ დამატებაში

ქალბატონი ლია გულწრფელია პირად ურთიერთობებში, გულწრფელია თავის მშვენიერ პოეზიაში... ამიტომაც შეიყვარა მის ლექსზე — „ტირიფები“ — შექმნილი სიმღერა საქართველომ, რამდენი ლამაზი, მხატვრული და გულწრფელი ლექსია მის პოეტურ კრებულში „ჩემი სიყვარული მოგაბარე“... წიგნის „შემომიწირავს გული“ რედაქტორი არმაზ სანებლიძე შესავალში წერს: „ლია ჭილაძე არის ის კოლეგა და მეგობარი,

პროფესიული შრომისთვის, რისი მოწმეც ვიყავი „საქართველოს რესპუბლიკაში“ ერთობლივი სამსახურის დროს“. ლია ჭილაძის ეს ღირსებები მხოლოდ დაუღალავი შრომით და ნიჭით აქვს მოპოვებული. იოლი არც მისი ცხოვრების გზა ყოფილა — სხვებისთვის საკუთარი მხრებით ზიდა ის მძიმე ჯვარი, რომელიც ჩვენმა დედამამშობლომ უახლესი ისტორიის განმავლობაში გამოიარა: მას ჰყავს ღირსეული მეუღლე

ლია ჭილაძე

აქ დგანან მხარგაშლილები, როგორც ნაბადში — ბიჭები, ჩემი ღიახვის მთები! შემოჯარვიან ფერხულად ასე პატარა ბერულას, ფიცგერცხლნაჭამი ძმები!

ლიასვის მიზეზი

თამარაშინიდან — კვხვამდე, შვინდის ტოტიდან — ვერხვამდე, გამცემნი ექო-ეყვანთა, ყელყელაობენ ერმანთან! არა სჩვევიათ დალატი, დედ-მამა ცხონდეს ამათი,

მათი სიმღერით ვტკბები!.. სიღარბისლით ქართულით თმენით და ლოცვით განთქმულნი, ფიცხელ ბრძოლებში დადილინი, ზურგში — დამბანადანხილინი,

შეუღწავი ბჭვნი! ასე ამაყნი, ძლიერნი, ასე: მეფური იერით; უცხონი შურის, იჭვების, ვით გორგასხალის ბიჭები — კაკასიონის მთები!..

აჭარის ხეობის გამუსლიმანებას 50 წელზე მეტი ხანი დაჭირდა. რამ განაპირობა ეს? ხალხი იყო შეუპოვარი, ჰქონდა საშუალება გამოეყენებინათ ხეობაში დამზადებული თოფი — მაჭახელა. აღნიშნული ხეობა შეუვალი ნაწილი იყო ოდიტგანვე. გავარას ციხე იცავდა ხეობას შემოტევებისგან. თოფის პირველი დამარსებლები და მწარმოებლები იყვნენ: მხელაძეები და ნაგერვაძეები. 1700 წელი თოფის დაარსების თარიღია. ნოე ნაგერვაძე და ასლან მხელაძის შვილთაშვილი ხეობაში აგრძელებს თოფის წარმოების ტრადიციებს. გამუსლიმანებას ხელი შეუწყო დალატი და ოპირობა. ციხე გატყდა შიგნიდან და ხეობა გაიყვანა. სელიმბეგ ხიმშიაშვილი აჭარის განმათვისუფლებელი მებრძოლი გმირი, 1824 წელს ებრძოდა თურქ ოსმალებს. წამებულად აღესრულა. თავი მოკვეთეს. ხეობაში შეხვდებით თამარის რამოდენიმე ხელს. ამჟამად ყოფილი მაჭახელის ხეობის სოფლებიდან, საქართველოს საზღვრის მიღმა დარჩა თურქეთში, სოფელ ხერთვისში თამარის რეზიდენცია, სადაც ლამაზი ეკლესია იყო. შემდეგი ეტაპი ხეობაში (1934 წლიდან) აღმავლობით დაიწყო. მანამდე პატარა სოფელ ცხემლარაში ცხოვრობდა 84 კომლი, ამჟამად კი დარჩენილია რამდენიმე ოჯახი. 34 წლამდე რეპრესიების დროს თურქების და რუსების მიერ სფეროების განაწილებას შეეწირა ათეულობით კომლი. ჯერ მარტო პატარა სოფელ ცხემლარიდან 41-45 წლების ომში 8 კაცი გაიწვიეს ფრონტზე. აქედან დაბრუნდა 2. ესენი იყვნენ: **სანი, ზარონი, ხიზია და ნუსრე საღვარიძეები. ზარონ მალაყმაძე, კარაგა საღვარიძე, ზაიდარ კირკიტაძე.**

მოგზაურობა მაჭახელას ხეობაში

გაზეთ „კაკასიონის“ მივლინებით პირველად ვესტუმრეთ აჭარის მთიანეთს — ხელგანართის რაიონს მე და ზაქრო ვაჭვაძე, სადაც მღებარეობს ერთ-ერთი უღამაზესი ხეობა, რომელსაც აჭარელები უწოდებენ მაჭახელას ხეობას, რომლის სოფლებია: მაჭახელის კარი, სინდეთი, ქედ-ქელი, ჭანიფი, აჭარის აღმართი, ავჯანდა, კობლაძეები, მორთულაძეები, ცხემლარა — თამარის ხიდი, პილაპილეთი, ჩიქუნეთი, ვაკე, ბასილეთი, ხინკილეთი, ქოქოლეთი, ბაღუყვეთი, კოსტანეთი, ქვედა ჩხუტუნეთი, ზედა ჩხუტუნეთი, საფუტკრეთი, გორგაძეთი... მაჭახელის ხეობის ისტორიაზე გვესაუბრებიან მამა-შვილი **გილა და ლეონი საღვარიძეები.** ოქროს ხანა კი ხეობაში იწყება 1953 წლიდან. ხეობის ხელმძღვანელები იყვნენ **ვლადიმერ კირკიტაძე, შებანი ქოქოლაძე.** ხეობას 61 წლიდან სათავეში ჩაუდგა **ზურაბ საღვარიძე,** რომელიც გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო და მისი ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში თითქმის ყველა სოფელში გაიყვანეს სამანქანე გზები, ააშენეს ხიდები. რაც მთავარია დაიწყო მევენახეობის განვითარება. მისი მუშაობის დროს მოხდა აღდგენა დაბალი ყურძნის — **ცოლიკაურის, ციცქას, ჩხავერის,** ასევე ახალი ჯიშების დანერგვა, **გულბედავა, ხევიანი და სამაისო.** კერძოდ, ხეობაში 3 სამანქანე ხიდი აიგო მისი მეთაურობით. სოფლის სამანქანე გზები 18 კილომეტრზე გაიყვანეს. ეს სოფლებია: **კობლაძეები, ცხემლარა, პილაპილეთი, ხინკილეთი, ქოქოლეთი, ბაღუყვეთი** და კიდევ სხვა ბევრი. ამჟამად პერიოდში ხეობაში აღსდგა ქვედა **ჩხუტუნეთის** კულტურის კერა. შეიძლება ითქვას აჭარის სოფლებში თეატრალური კოლექტივი შეიქმნა, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა **ზურაბ**

ნაგერვაძე და რეზო საღვარიძე. გადმოცემით მათი ხმის უნიკალურობა იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი 7 კაცის ხმას გამოცემდნენ. ამხელ კვირიტიანის მიერ შექმნილი ლექსებიდან გამოირჩეოდა ლექსი „მაჭახელაზე“, რომელზე დაწერილ სიმღერასაც ასრულებდა ცნობილი ტრიო **ნანული, მერი და ზურიე საღვარიძეების შემადგენლობით.** ამჟამად ეს ბრწყინვალე ხალხი აღარ არის. სურვილი გვაქვს, რომ აღსდგეს დაფიქრებული სიმღერები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აჭარის მთიანი რეგიონის თითქმის ყველა სოფელში შეინიშნება მჭეთების სიმრავლე, ხოლო მაჭახელის ხეობაში ასეთს ვერ ნახავ და უფრო მეტიც, ხეობაში მიმდინარეობს ქრისტიანული საეკლესიო აღმშენებლობა და 1992 წლიდან მხარეში ხალხი მოექცა ძველ სარწმუნოებაზე. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, მომავლისთვის იგეგმება მაჭახელის ხეობაში კიდევ ერთი ეკლესიის მშენებლობა. ამჟამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ლამაზ ხეობაში 70 პროცენტზე მეტი მოსახლეობის მართლმადიდებელი ქრისტიანია. მარიამობის ბრწყინვალე დღეს, ქვედა ჩხუტუნეთში საფუძველი ჩაეყარა მარიამ ღვთისმშობლის ეკლესიას და ამჟამად დღეს ამჟამად სოფლის მდინარე მაჭახელაში მინიათლა უამრავი ხალხი. ჩვენი სოფლის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა უმუშევრობა და ცენტრალური სამანქანე გზის აღდგენა. იმედია, ახალი ხელისუფლება მოგვხდავს და მოგვივარებს ჩვენს დიდ პრობლემებს.

აშთანდილ კეკელია

„ლეხისკარს რო სინე ღბას...“

„დიდგაკეს ჩამონვიდოდი დიდგული, კარგი ძმებითა, გიტოდი, აღარ გინდოდი, თქვი სიტყვით გასაგებითა. ლეხისკარს რო ცინე დგას, ქალო, ტან გინდა ისეთი, ვერ გნახე შენი სადარი, შემოვიარე ქისტეთი. წასვლა სჯობს წარმავალისა, უძმობა ცუდის ძმობასა, ვაი ქმარს ავის ქალისას, დაუგვიანებს გზობასა.“


ამ სტრიქონების ავტორის, ჩალხა ჭინჭარაშვილის საღამო გაიმართა საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში, სამების ტაძარში. სიტყვა წარმოთქვეს პოეტებმა - ბლათერ არაბულმა, ერეკლე საღლიანმა, ლელა გაბურმა, კობა არაბულმა, მაია გონჯილაშვილმა მარი ჭინჭარაშვილმა, რუსო მარგიანმა, ვაჟა შაბურიშვილმა,



ირაკლი მაჭარაშვილმა, ერეკლე არაბულმა და სხვ. სიტყვით გამოვიდნენ და ავტორის ლექსები წაიკითხეს მისი შემოქმედების მოყვარულმა ახალგაზრდებმა. საღამოს უძღვებოდა ნინო ჭინჭარაშვილი, ხოლო მუსიკალურად აფორმებდნენ ანსამბლები „სამრეკლო“, „ლილეო“, „ღები ზვიადაურები“ და არაჩვეულებრივი მომღერალი მირანდა მაისურაძე.

ჩალხა ჭინჭარაშვილს ორი კრებული აქვს გამოცემული, რომელთა რედაქტორიც ავტორის დისშვილი, პოეტი ლელა გაბურია. ავტორი 3 წლის იყო, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ ხევსურები იძულებით ჩამოასახლა ბარში, ამიტომაც ბევრი მისი ლექსი შშობლიური კუთხის მონატრებით არის გაუღენითი, თუმცა პოეტი ლექსის თემატიკის სიმწირით არ იზღუდება და ყველაფერს ეხება, რასაც ცხოვრების მანძილზე გრძობდა და განიცდიდა. კრებულში შესულია როგორც რითმიანი, ისე თეთრი ლექსებიც:

„მორს დარჩენ ნიღბები და მყუდრო ლოყები, და ქარში დაინახა სინაზე ქალური, ხელეგში შემაწყდნენ მაგარი ოყები



ნაპრალეს ეხლება ცხენების თქარუნი.

ირგვლივ ფერხულია სიყვითლის სახადის, გზები აგსებულა მკვდარი სილაპაზით, ქარი მომსისინებს „აქამდის სადა ხარ?“ ხევი მომხრიალებს და ისიც ამაზე.

უსწრაფეს ფიქრისა მზისფერი ცხენები, თანაც გზა საშიში და ასე დამრეცი... მოგქრივარ კლდეებზე გიფური ჭენებით, შემინდე ძვირფასო, თუ სადმე დაგვცი!“

ბიორბის

„შენი პაწაწა ხელის მტევანით გაზომილი მაქვს წუთისოფელი...“

„მიცავდნენ ოდით, შენი პაპანი... შენი აკვანი მხოლოდ და მხოლოდ არის ამ გულში...“

ჯერ კიდევ გუშინ იყავ ხევსურეთს-გით მოგზაური და წყლის ხმაური ნაგვსმოდა არა ხმაურად, არამედ გიმნად შენი მამულის... ნახე სოფელი, ნახე ციხე, გყავდა შვილები... ტუნე ყამირი, ოცნებობდი ჩიტის ფრთაზე და

შენი ცხოვრება ააწყვე მკაცრად! (ხევსურული ფარდულის მსგავსად) აღმა და დაღმა, სიცხეში, ქარში, იტანჯე ბევრი, ილაღე და ილაღე ბევრი... ეძებე ღმერთი...

ლეხისკარში დგას ფიჭვი ბევრი და დათვლილია მისი დღეები. ჩამოსცვნია ქარაფებს თოვლი და გაცრეცილან სათბებები. ქვითინებს ქარი დანგრეულ ნიშში, ველური ხმები ნანგრევებს აცრის და ყმუის ძაღლი მოგებით ნიშის... არის ღმერთი და არ არის კაცი!“

დღეს, ეს ღირსეული ხევსური კაცი გარდაბნის რაიონში ცხოვრობს და იქაც ინახავს ძველი ხევსურეთის სულს და ტკივილს, როგორც ლეხისკარში ეულად შერჩენილი ციხე... ღმერთმ მაგცას წყალობა და დღეგრძელობა, ჩალხა ბიძა.

ნიწო ჭინჭარაშვილი

P.S: მეტად შთამბეჭდავი და გაუხუნარი გახლდათ ერეკლე საღლიანის წარმოთქმული სიტყვა: ჩალხა ჭინჭარაშვილისთვის მთებთან განშორებას არ ჩაუკლავს ჭეშმარიტი სული თანამსაგვით რომ აკრავს ადამიანთა სულებს. მისი ეს პროფესიულად დაწერილი წიგნი სიცოცხლესთან გაბრუნებს, რომელიც თავისი ღირსებით და ღირებულებებით არის გამოჩენილი. მართლაც უფლის ნებით გაიფურა და გამოშვეურდა აქ, სამების ტაძრის ამ დარბაზში, ჩალხა ჭინჭარაშვილის გამორჩეული სული... რომ არა პოეტის დისშვილის - ლელა გაბურის მოწოდება, ეს წიგნი არ გამოვიდოდა. სწორედ რომ მისი, თავადაც ნიჭიერი პოეტის - ლელა გაბურის დიდი დამსახურებაა ჩალხა ჭინჭარაშვილის ლექსების შეკრება და სამხეოზე გამოტანა.

ი. ჯ.

ბოჩა ხარხარული

თვალსაჩინო პოეტი და პუბლიცისტი ბოჩა ხარხარაშვილი საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გადაწყვეტილებით ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის ლაურეატი გახდა.

წერილი მიხეა ხელაშვილს ანუ მე დავიფაღე

- ნაკლებად გახსენებენ ძმაო, და უფრო ნაკლებად გიგონებენ! შენ — ჭაბუკი მარადიული! შენ — ნათლით მოხილი ფშაველი! მე — ქალაქის არამშობლიური მტვრით შეურაცხყოფილი, ორმოცდაათ წელს მიღწეული, შენი უმცროსი ძმა! შენ — მარადიულობით „დაღლილი“ მე — დაღლილი სამყაროს ფუჭსიტყვაობით“ მე — დაღლილი მდგრადი განვითარების სიღარიბით! მე — დაღლილი ჩემი შვილების სევდიანი თვალებით! მე — დაღლილი დედის დაუღლევი ხელებით! მე — დაღლილი გულგრილი მზის აბეზარი ერთგულებით! მე — დაღლილი ცოლის გამხიარულებული სევდით! მე — დაღლილი საკუთარი სიმძიმით! მე დავიდალე შემოდგომის ცრუბენტელა სპექტაკლებით! მე დავიდალე საათის უტიფარი უდარდებლობით! მე დავიდალე შეთანხმებული ბრძოლებით! მე დავიდალე დაგეგმილი მშვიდობით! მე დავიდალე წინაპრების სამარეთა გუგუნით! მე დავიდალე ჩემი გამაყრუებელი სინუშით! მე დავიდალე ჩემი ნიჭიერების ტოქსიკურობით, ჩემი მორჩილების თვალთმაქცობით, ჩემი თავმდაბლობის მედიდურობით! მე დავიდალე სიკვდილის ჭრელჭრულა სიბრძნით და სიცოცხლის გაფანტული სკლეროზით! მუძუების პროფესიული მოვალეობის ვადამეტებით! მე დავიდალე სიყვარულის სადახლო სამსახურში ჩადგომით, მერცხლების საგაზაფხულო დაღატით, გვართა დაღადითა და ქვათა დამალობანით! მე დავიდალე ღვთაებრივი „ათასიანი“ ჭლექით და „გამიზნულად“ გამოლტვილი

- არდაბრუნებით! ბურგაკებისგან შესანსლული თურაშაულით და პანტის თანამდებობისთვის შეუფერებლობით, მწვერზე ძალადობითა და პატიოსანია ხეების შეშფოთებით! მე დავიდალე შეფაკლული ღაწკებით სირცხვილის განცდის გარეშე! მე დავიდალე ვულკანების თვლებით, გალაკტიკების ბუტიაობით, დედამიწის ეპილეფსიით, ზარების პროტესტით, გულის მტკნარი შეუბოვრობით, ცრემლების ცრუ ფილოსოფიით და ფილოსოფიის დეაწლმოსილი კლიმაქსურობით. მე დავიდალე სისხლში მოცახცახე ტრაქტატების ჩურჩულით, დაშვებული ხელებითა და აფშეკილი ფეხებით, თვალებში დამწვევდული სულით და გადამწვარი წყვილი ნათურით. მე დავიდალე ჩემით, შენით, მისით, ჩვენით, თქვენით, მათით! მე დავიდალე აკინძული ბრუნვით, ჩამწკრივებული სერიებით, დარბაისელი ხარების კისრებიდან გადმოყრილი უღლებით. მე დავიდალე სენტამენტალიზმის გრამატიკული გამოლაყვებით! მე დავიდალე სისხლიდან დაწრეტილი ირმების მხატვრობით! მზარეულის მომლოდინე საწამლაგით, და უარყოფილი დედოფლისგან საკუთარი სისხლძარღვებით შემოღობილი საქვეთინოთი! მე დავიდალე ძვირფას მუნღებზე შემშრალი სიყმაწვილით!

ჩემით დაიდალა დ ა ღ ლ ა, და არა იმიტომ, რომ ონობინტრე პოეტივით მიგურითმო — „ მ ა ღ ლ ა .“

- მე დავიდალე დროთა უწმარურობითა და ჟამთაგლის სრწნით! მე დავიდალე — წამების გულწრფელობით, წუთების უმწეობით, საათების თეატრალიზმის და დღე-ღამეთა უბასუნსმგებლობით! მე დავიდალე ა რ ა ფ რ ი თ !!!!!!!

ღვანული სააბაღლითო



ახლა ხანს გამოცემლობა „მერანმა“ გამოსცა თვალსაჩინო პოეტის — მამყვალ ბონაშვილის პოეტური კრებული: „ხმა მესმა“, რომლის რედაქტორია მანანა გორგიშვილი, მხატვარი გიორგი კუხალაშვილი, ტექნიკური

რედაქტორი ნანა ჭოჭუა, ოპერატორი მაია კვანტალიანი, დამკაბადონებელი თამარ ტყაბლაძე.

უფალი მხოლოდ მას მოჰმადლებს სახელს, ვინც მისგან ბოძებულ ნიჭს სიკეთის ქმნისთვის გამოიყენებს, სიკეთე კი, უპირველესად, ერისთვის

სამსახური და კაცობის სამაგალითო ღვაწლია.

მაყვალა გონაშვილი ერთი იმ-ათვანია, რომელმაც კარგად იცის, ქვეყნის წინაშე რაოდენ დიდი ვალი აქვს, როგორც ქალსა და როგორც პოეტს:

„არა მარტოდენ მამულის, ანდა არა მარტოდენ წინაპრის გალით, საქართველოში ათევის ძნელია, იყო პოეტი და იყო ქალი“.

ძნელად გასაკვლელ გზას შესჭიდებია პოეტი ქალბატონი და აფერუმ, ღირსეულადაც. რა უნდა იყოს ღამაზი ქალის



მშვენიერი ლექსების გამოსარჩლებზე უფრო საამაყო, როცა იგი „სევდით სავსეა, როგორც ღრუბელი და თვით არ იცის, როდის იწვიმებს...“ - განა

უკვე არ იწვიმა ღამაზმა პოეტესამ თუნდაც იმით, რომ სამშობლოს უთხრა:

„მანც როგორ გიხდება ეს წყევული სიმღერა, „მომავალი შენია“! შენია და ელოდე- ასე როგორ მივიდეთ, ასე დანოქილები, ასე ხელგაწვდილები ხვალის საქართველომდე?“

უკვე ამით არ იპყრო მან ხელთ ქართული პოეზიის აწმყო? თავისი წილი!

მკითხველმა ბრძანოს, მართალი ვარ, თუ — არა.

ჭაბუა ამირეჯიბი

ახალ ფელს გულოცავთი ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარემ, ქართველი მრის საამაყო შვილს ბატონ შალვა ნათელაშვილს ოჯახთან და თავის გუნდთან ერთად.

შენ თავად მშვენიერი

ინო ნაცვლიშვილს და შოთა ცხიტიშვილს გულოცავთი ბედნიერებას, უფლის ფყალობა არ მოგკლავოდეთ.



ბოლო დროს ხშირად მიწევს უდროოდ წასულთა ხსოვნაზე წერა. უკვე ბევრი მეგობარი და ახლობელი დავკარგე. რა დამავიწყებს როდამ ქუმსიაშვილს, ალაზა ხაიაურს, მერი არაბულს და მის თვალციმციმა და უნიჭიერეს ჭაბუკს — დათო იარაგულს, ნანა გოგსაძეს, ირაკლი (ხამურზა) ჭინჭარაულს, ლელა

(ლილი) არაბულს, გოგიტა არაბულს, მიხა არაბულს, ნანა ბოტკოველს, სილოვან ნარიმანიძეს, რეზო ჭიჭინაძეს, ქეთინო ჩოლოყაშვილს, დავით მჭედლოურს, მიხეილ (მიშიკო) ქურდიანს...

დღემდე გაუნებლელ ტკივილად დამრჩა თინიკო მგელიაშვილის უდროო სიკვდილი!

ჩემო თინიკო, უშენობით თვალს ცრემლი ეძაღება... მე მანც გავბედე და შენი სურვილის მიუხედავად დაგებედე შენი ლექსები, სულის სამკაულად და ჩამითვალე, რომ ამით მანც საჩუქარი დაგადევენ სულეთის გზაზე... ჩემო მშვენიერო...

არასოდეს დამავიწყდება, არ დამავიწყდება შენი ღულუნა ხმა და სითბო, ყოველი შეხვედრისას ნათქვამი სიტყვები: ჩემო კარგო, ჩემო ღამაზო, ჩემო მშვენიერო, როგორა ხარ?..

შენ თავად მშვენიერო... როგორ მოგაწვდინო შენი საოცნებო წიგნი, როგორ გავიხარო გული!..

შენ კი, ჩემო მკითხველო, ალბათ

გულდასმით გაეცნობი სრულიად ახალგაზრდა ამ მშვენიერი და ბედკრული ფშველი ქალის მომცრო წიგნს, რომელშიც მარგალიტებიანი განფენილა მისი პოეტური, პროზაული თუ პუბლიცისტური სტრიქონები... დაგენანებათ, უსათუოდ დაგენანებათ ჩემი თინათინ მგელიაშვილი.

იზა ჯაჭვამი

თინათინ მგელიაშვილი ხვარამზე

გულოცავთი დაბადების დღეს

გულო კობიაშვილს - თვალსაჩინო ნოველისტს, რეჟაზ ინანიშვილის პრემიის ლაურეატს.

იზა ბარამიძეს -

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულს, უნიჭიერეს ფილოლოგს და მკვლევარს.

ცნობიერი მხატვრული - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტს, საერთაშორისო კლასის თავისუფალ ჟურნალისტს, ქართული ეროვნული ვიდეოების თანაავტორს (საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასთან ერთად).

ნელი ცხიტიშვილს - თელავის უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს.

შუშუნა შინჭარაულს - საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორის უსპეტაკეს მანდილოსანს.

ლელია არჩვამაშვილს - მასწავლებელსა და ჟურნალისტს.

ჭოპორტელ 4 წლის ლუპა ბამპურაშვილს.

ზურაბ ჯავახიძეს - თბილისის 137-ე სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეს (წყნეთში).

თეა ბოტკოველს - თვალსაჩინო მხატვარს.

სპარტაკ ქობულაძეს - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორის მოადგილეს.

ლუპა რამაზაშვილს - საქართველოს ეროვნულ გმირს, პოლიტპატიმარს.

ირმა იმბურიშვილს - საქართველოს მწერალთა კავშირის წევრს, თვალსაჩინო პოეტს.

ნანა ინჭკირველს - თბილისის 147- საჯარო სკოლის მასწავლებელს.

კომედი შერამდინე ძალდანს გულოცავთი აკაკი ფერეთლის პრემიის ლაურეატობას

დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი იზა ჯაჭვამი რედაქტორი ლაშა-გიორგი პრავეიშვილი რედაქტორის მოადგილე დინა ბიბიაძე